21
ოქტომბერი
შაბათი,
1961 წ.
№ 168 (1804)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 8 კაპ.

პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე ლენინი

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე 1961 წლის 18 ოქტომბერს

XX ყრილობამ, ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, ცენტრალურ კომიტეტს დაავალა მოემზადებინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი. ცენტრალურმა კომიტეტმა შეასრულა ეს დავალება და პარტიის, ხალხის მიერ პროგრამის პროექტის განხილვის შემდეგ გამოაქვს იგი ყრილობის განსახილველად.

ჩვენი ყრილობა ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა. ამ ტრიბუნიდან სიყვარულისა და ერთგულების პირველ სიტყვებს მივმართავთ კაცობრიობის გენიოსებს, მუშათა კლასის დიდ ბელადებს—მარქსს, ენგელსს, ლენინს. სოციალიზმი, რომლის გარდუვალობა მეცნიერულად იწინასწარმეტყველეს მარქსმა და ენგელსმა, სოციალიზმი, რომლის აშენების გეგმა დასახა ლენინმა, საბჭოთა კავშირში რეალური სინამდვილე გახდა. ახლა ჩვენი ქვეყანა მიდის ახალი სიმაღლეებისაკენ — კომუნიზმის სიმაღლეებისაკენ.

XX საუკუნე კომუნიზმის ტრიუმფულ გამარჯვებათა საუკუნეა. საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენს პლანეტაზე მტკიცედ დამკვიდრდა სოციალიზმი, საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდება კომუნიზმი. ამ გზას გვიანახავს ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ თანამედროვე ეპოქის კომუნისტურ მანიფესტს.

პროგრამის პროექტში განსახიერებულია პარტიის კოლექტიური აზრი. ყველა საბჭოთა ადამიანი ამბობს: ეს ჩვენი პროგრამაა, იგი შეესაბამება ჩვენს იმედებსა და მისწრაფებებს.

პროგრამის იდეები გამოხატავენ მთელი კაცობრიობის ნათელ ოცნებებს. სკკპ პროგრამის პროექტი მხურვალედ მოიწონეს მოძმე პარტიებმა. მას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მთელი მსოფლიოს პროლეტარები, მშრომელნი. და ეს მოწმობს კომუნიზმის ძალას, ჩვენი პროგრამის დიად მნიშვნელობას კაცობრიობის ბედისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი ახასიათებს იმ დიადი გზის ძირითად ეტაპებს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ, ლაპარაკობს ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის წარმატებებზე, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაზე, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

შემდეგ მომხსენებელი ამბობს, რომ თანამედროვეობის დიადმა რევოლუციურმა ძალებმა სრულიად შეუცვალეს სახე მსოფლიოს, იმპერიალიზმმა სამუდამოდ დაჰკარგა ბატონობა ხალხთა მეტ ნაწილზე.

თუ 1919 წელს სოციალისტურ სამყაროს ეკავა ფართობის სულ 16,0 პროცენტი მოსახლეობის 7,8 პროცენტით, 1961 წლისათვის სოციალისტურ სამყაროს უკავია უკვე ფართობის 25,9 პროცენტი მოსახლეობის 35,5 პროცენტით. დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს (ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, გერმანიას — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, საფრანგეთს, იაპონიას, იტალიას) და მათ კოლონიებს 1919 წელს ეკავათ ფართობის 44,5 პროცენტი და მოსახლეობის 48,1 პროცენტი, ხოლო 1961 წლისათვის — ფართობის 13,7 პროცენტი, მოსახლეობის 17,9 პროცენტი. 1919 წლისათვის მოსახლეობის 69,2 პროცენტი ცხოვრობდა კოლონიებში, ნახევრადკოლონიებსა და დომინიონებში; 1961 წლისათვის ეს ციფრი შემცირდა 2,8 პროცენტამდე.

ჩვენს ეპოქაში საზოგადოების წინსვლითი განვითარების ძირითადი შედეგებია მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, კოლონიური სისტემის კრახი, კაპიტალიზმის მკვეთრი ყოველმხრივი შესუსტება და მისი საერთო კრიზისის ახალი გამწვავება.

ისტორია ვითარდება ისე, როგორც მარქსმა და ლენინმა იწინასწარმეტყველეს. სოციალიზმის ძალები, მსოფლიო პროგრესის მთელი ძალები იზრდება, ხალხები სულ უფრო ემიჯნებიან იმპერიალიზმს. იმპერიალიზმის დაღუპვა და სოციალიზმის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით გარდუვალია.

მესამე პროგრამის მიღება მოასწავებს ახალ ნიშანსვეტს პარტიისა და საბჭოთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში. სკკპ პროგრამა შეიძლება შევადაროთ სამსაფეხურიან რაკეტას. პირველმა საფეხურმა ჩვენი ქვეყანა გამოსტაცა კაპიტალისტურ სამყაროს, მეორემ — იგი აიყვანა სოციალიზმამდე, ხოლო მესამე მოწოდებულია გაიყვანოს კომუნიზმის ორბიტაზე.

მოხსენებაში დახასიათებულია ძირითადი ნიშნები პროგრამის პროექტისა, რომელიც მოასწავებს ახალ ეტაპს მარქსის, ენგელსის, ლენინის რევოლუციური თეორიის განვითარებაში. პროექტის მთელი სულისკვეთება, მთელი შინაარსი ასახავს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის ერთიანობასა და განუყრელობას. პროექტში სრული განსახიერება პოვა ლოზუნგმა: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

პროგრამის პროექტი გამომდინარეობს ახალი საერთაშორისო პირობებიდან: კომუნიზმის მშენებლობა ჩაღდება არა კაპიტალისტურ გარემოცვაში, არამედ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობის, იმპერიალიზმის ძალებზე სოციალიზმის ძალების, ომის ძალებზე მშვიდობის ძალების მზარდი უპირატესობის ვითარებაში. იგი გამსჭვალულია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ჭეშმარიტი კომუნისტური ჰუმანიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მშვიდობისა და ძმობის იდეებით.

პროგრამის პროექტის ისტორიული ფარგლებია 20 წელი. ამ ხნის განმავლობაში, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩვენ ძირითადად ავაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას. ეკონომიურ დარგში შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; სოციალური ურთიერთობის დარგში იწარმოებს კლასებს შორის განსხვავებათა ჯერ კიდევ არსებული ნაშთების ლიკვიდაცია, კლასების გაერთიანება კომუნიზმის მშრომელთა უკლასო საზოგადოებად, ძირითადად ლიკვიდირებულ იქნება განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, ხოლო შემდეგ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, გაიზრდება ერების ეკონომიური და იდეური ერთობა, განვითარდება თვისებები კომუნისტური საზოგადოების ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულად შერწყმულია მაღალი იდეურობა, ფართო განათლება, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა; პოლიტიკურ დარგში ეს ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქე მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, სოციალისტური დემოკრატიის უფართოესი განვითარების შედეგად საზოგადოება მოემზადება კომუნისტური თვითმმართველობის პრინციპების სრული განხორციელებისათვის.

ორი ათეული წლის განმავლობაში სსრ კავშირში შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს არის ჩვენი პარტიის მთავარი ეკონომიური ამოცანა, მისი გენერალური ხაზის საფუძველი. ეს საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ თავისი ძლიერებით უმაგალითო მწარმოებლური ძალები და პირველი ადგილი დავიკავოთ მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ, უზრუნველვყოთ ყველა პირობა იმისათვის, რომ შემდეგში შემოვიღოთ განაწილება მოთხოვნილების მიხედვით. მხოლოდ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების გზით შეიძლება მოვიგოთ ეკონომიური შეჯიბრება კაპიტალიზმთან.

მომავალი 20 წლისათვის კაპიტალური დაბანდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში დასახულია დაახლოებით ორი ტრილიონი მანეთი. მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზრდება სულ ცოტა 6-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია — დაახლოებით 3,5-ჯერ. 20 წლის შემდეგ სსრ კავშირი აწარმოებს თითქმის ორჯერ მეტ მრეწველობის პროდუქციას, ვიდრე ამჟამად აწარმოებს მთელი არასოციალისტური სამყარო.

მთლიანი ელექტრიფიკაციის ლენინური იდეა კომუნიზმის მშენებლობის მთელი პროგრამის ღერძია. უნდა აიგოს 180 მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, 200-მდე რაიონული თბოელექტროსადგური სამ მილიონამდე კილოვატი სიმძლავრისა თითოეული, აგრეთვე 260 დიდი თბოელექტროცენტრალი.

პარტიის პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე მანქანათმშენებლობის უდიდეს განვითარებას. აიგება 2.800 ახალი მანქანათსაშენებელი და ლითონდასამუშავებელი საწარმო, 1900 ძველი საწარმო რეკონსტრუირებულ იქნება. მანქანათსაშენებელი და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა გადიდდება 10-11-ჯერ. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია ნომენკლატურის ინტენსიური გაფართოებისას დაახლოებით 17-ჯერ გაიზრდება. შავმეტალურგიამ უნდა უზრუნველყოს წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობის შესაძლებლობა. უკვე 9 წლის შემდეგ ფოლადის გამოდნობა საბჭოთა კავშირში დაახლოებით 55 მილიონი ტონით გადააჭარბებს გამოდნობის ახლანდელ დონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნ. ს. ხრუშჩოვი ლაპარაკობს აგრეთვე ფერადი ლითონების, საშენი მასალების წარმოების განვითარების, მოხმარების საგნების წარმოების გადიდების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების, მწარმოებლური ძალების განლაგების გაუმჯობესების ამოცანებზე.

პარტიის პროგრამის პროექტი იძლევა სოფლად იმ სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებების ღრმა დახასიათებას, რომლებიც მოხდა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების, სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემის დამკვიდრების შედეგად. ჩვენს პარტიას შეუძლია კანონიერად იამაყოს იმით, რომ მან აღზარდა ახალი გლეხი, რომელიც მხარდამხარ მიჰყვება გმირ მუშათა კლასს და ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელია.

გათვალისწინებულია 20 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა გადიდდეს დაახლოებით სამნახევარჯერ, მარცვლეულის მთლიანი წარმოება—ერთიორად და მეტად, ხორცისა—თითქმის ერთიოთხად და რძისა—თითქმის ერთიხამად.

სოციალისტური სოფლის მეურნეობა მიუახლოვდება მრეწველობის დონეს იმის კვალობაზე, რაც უფრო ამაღლდება კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების კულტურულ-ტექნიკური დონე და სოფლის მეურნეობის ყველა დარგი აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკით. სასოფლო-სამეურნეო შრომა გახდება ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობა.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ხალხის ყველაზე მაღალი ცხოვრების დონის მიღწევაზე. უკვე პირველი ათი წლის განმავლობაში საბჭოთა ადამიანების ყველა ფენას შეეძლება ისარგებლოს დოვლათით, იქნება მატერიალურად უზრუნველყოფილი. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უახლოესი 10 წლის განმავლობაში გაიზრდება ერთიორად, ხოლო 20 წელიწადში — 3,5-ჯერ და მეტად. უახლოესი ათი წლის განმავლობაში ბოლოს მოვუღებთ ბინების ნაკლებობას. მეორე ათი წლის შედეგად თი-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე 1961 წლის 18 ოქტომბერს

(დასასრული)

თოეული ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება ცალკე კეთილმოწყობილი ბინით.

კომუნიზმის მშენებელთა ქვეყანა გახდება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა. ამავე დროს გაიზრდება მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასიანი შვებულებების ხანგრძლივობა სამ კვირამდე, ხოლო შემდეგ ერთ თვემდეც. ხელფასიან შვებულებათა სისტემა თანდათან გავრცელდება კოლმეურნეებზე. უკვე უახლოესი ათი წლის განმავლობაში სსრ კავშირში გადაწყდება ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: გაქრება მცირეხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა კატეგორია.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მეორე გზაა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გაფართოება. პარტია სახავს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის შემდგომ გაფართოებას, თითოეული ოჯახის უფასოდ უზრუნველყოფას კეთილმოწყობილი ბინითა და ძირითადი კომუნალური მომსახურებით.

კომუნიზმში გადასვლის დროს, განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვი, მწარმოებლური ძალების მძლავრ აღმავლობასთან ერთად მიმდინარეობს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურ ურთიერთობად თანდათანობით გადაზრდის პროცესი. სსრ კავშირის განვითარებაში დადგა ის ისტორიული პერიოდი, როცა უშუალოდ წყდება თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა უკლასო კომუნისტური საზოგადოების შექმნის ამოცანა.

პარტიის პროგრამის პროექტში დასმული და გადაჭრილია კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის ახალი უმნიშვნელოვანესი საკითხი — მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის შესახებ, ამ სახელმწიფოს ხასიათისა და ამოცანების და მისი ბედის შესახებ კომუნიზმის დროს. საერთო სახალხო სახელმწიფო უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად გადაზრდის გზაზე.

სახელმწიფო დარჩება ჯერ კიდევ დიდხანს კომუნიზმის პირველი ფაზის გამარჯვების შემდეგ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სსრ კავშირში აშენდება განვითარებული კომუნისტური საზოგადოება და საერთაშორისო ასპარეზზე გაიმარჯვებს და განმტკიცდება სოციალიზმი, სახელმწიფო აღარ იქნება საჭირო და იგი მოკვდება.

მოჰყავს რა დამაჯერებელი ციფრები და მაგალითები, შემდეგ მომხსენებელი ცხადყოფს, რომ სოციალიზმის სამყარო განუხრელად და თანმიმდევრულად მიდის დემოკრატიის განვითარებისა და გაფართოების გზით, ხოლო კაპიტალიზმის სამყარო — თვით კუდმოკვეცილი ბურჟუაზიული დემოკრატიის სულ უფრო შეზღუდვისა და შეკვეცის გზით.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობა სსრ კავშირში წარმოადგენს ახალ ეტაპს ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში. გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის კომპლექსური განვითარება და სპეციალიზაცია. თითოეული მათგანის ეკონომიკა კვლავაც განვითარდება როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ერთიანი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი. ერებისა და ხალხების დაახლოებას ხელს უწყობს აგრეთვე კულტურული მშენებლობა, იდეოლოგიური მუშაობა. ძლიერდება სულიერი სიმდიდრის ურთიერთგაცვლა. ყოველივე ეს ხელს უწყობს კომუნისტური საზოგადოების მომავალი ერთიანი ზოგადკაცობრიული კულტურის ჩამოყალიბებას.

პარტიის პროგრამული მიზანია კიდევ უფრო საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახადოს ყველა ფორმის უმაღლესი განათლება. 1980 წლისათვის გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების რიცხვი გადიდდეს 8 მილიონამდე, ესე იგი გადიდდეს ერთისამად და მეტად.

მოხსენებაში დახასიათებულია ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ამოცანები.

ჩვენი პარტიის პროგრამის განხორციელება უდიდეს ზემოქმედებას მოახდენს მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. კომუნიზმი, რომელსაც ვაშენებთ, თავისი მაგალითის ძალით მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ იზიდავს მთელი მსოფლიოს ახალ ასეულ მილიონობით მშრომელ ადამიანს.

სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების შეჯიბრების მთავარი ასპარეზია მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება. მის შედეგს უდიდეს წილად განსაზღვრავს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეჯიბრება. არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე მსოფლიო სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყნის ეკონომიკა ბევრად უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე კაპიტალიზმის ეკონომიკა. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა ომამდელ დონესთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის მოცულობა მთლიანად თითქმის შვიდჯერ გაადიდეს, ხოლო კაპიტალიზმის ქვეყნებმა — უფრო ნაკლებად, ვიდრე ორნახევარჯერ. როგორც ეკონომისტების წინასწარი ვარაუდი ცხადყოფს, 1980 წლისათვის მსოფლიო სოციალისტური სისტემის წილი უკვე დაახლოებით შეადგენს მსოფლიო სამრეწველო წარმოების ორმესამედს.

კომუნიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში მთელ სოციალისტურ თანამეგობრობაში კომუნისტური საზოგადოების შექმნის შემადგენელი ნაწილია. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმატებით განვითარება სახავს იმის პერსპექტივას, რომ მეტად თუ ნაკლებად ერთსა და იმავე დროს, ერთი ისტორიული ეპოქის ფარგლებში მოხდეს სოციალისტური ქვეყნების გადასვლა კომუნიზმზე.

კომუნიზმი ჩვენი საუკუნის ყველაზე დიადი ძალა გახდა. ახლა კომუნისტური პარტიები მოქმედებენ მსოფლიოს 87 ქვეყანაში და აერთიანებენ დაახლოებით 40 მილიონ კაცს.

თანამედროვე ეპოქაში წარმოიშვა უფრო ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გასაშლელად და შინაგანი პირობები იმისათვის, რომ ახალი ქვეყნები გადავიდნენ სოციალიზმზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა უბედურება იქნებოდა კაცობრიობისათვის ახალი ომი, რასაც იმპერიალისტები ამზადებენ. ჩვენს დროში ომი არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს საერთაშორისო დავის გადაჭრის ხერხი.

იღებს რა ახალ პროგრამას, ჩვენი დიადი პარტია მთელი კაცობრიობის წინაშე საქვეყნოდ აცხადებს, რომ მას თავისი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად ის მიაჩნია, რომ არა მარტო ავიცილოთ მსოფლიო ომი, არამედ ჩვენი თაობის სიცოცხლეშივე სამუდამოდ გამოირიცხოს ომი საზოგადოების ცხოვრებიდან. ამასთან სსრ კავშირის თავდაცვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების განმტკიცება საბჭოთა ხალხის ამოცანათა ამოცანაა.

გამოქვეყნების პირველი დღიდანვე, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, პროგრამის პროექტი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრშია. პროგრამის იდეებმა უფართოესი გამოხმაურება პოვა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის მილიონობით ადამიანის გულში.

განხილვაში მონაწილეობა მიიღო ცხრა მილიონზე მეტმა კომუნისტმა, ესე იგი, მთელმა პარტიამ. მოეწყო მშრომელთა 500 ათასზე მეტი კრება, რომლებზეც განიხილეს პროგრამის პროექტი. ამ კრებებს დაესწრო დაახლოებით 73 მილიონი კაცი. პროგრამის პროექტის შესახებ გამოვიდა 4 მილიონ 600 ათასზე მეტი კაცი. გარდა ამისა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, რადიოსა და ტელევიზიაში მიღებულია 300 ათასზე მეტი წერილი და სტატია.

ყრილობას ყველა საფუძველი აქვს განაცხადოს, რომ პროგრამის პროექტი ერთსულოვნად მოიწონა ყველა კომუნისტმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა. პროგრამამ უდიდესი შემოქმედებითი ძალა შთაბერა ყრილობისწინა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებას. და ეს იმის დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ პარტია, ხალხი უკვე შეიარაღდა პროგრამით და პრაქტიკულად აჩაღებენ ბრძოლას პროგრამის განხორციელებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოახსენებს ყრილობას, რომ ყველა წინადადება გულდასმით შეისწავლა ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩერდება იმ წინადადებებზე, რომლებიც, ცენტრალური კომიტეტის აზრით, შეიძლება მიღებულ იქნეს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა XXII ყრილობის დელეგატების სახელით, ჩვენი პარტიის წევრთა სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა ყველა მოძმე პარტიას, მსოფლიოს ყველა კომუნისტს ჩვენი გეგმების, ჩვენი მიზნებისათვის მხარდაჭერის გამო. ჩვენ პირობას გაძლევთ, ჩვენო საზღვარგარეთელო ძმებო, თქვა მან, რომ ჩვენი ლენინური პარტია, რომელსაც მაღლა უპყრია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, ყოველ ღონეს იხმარს, რათა მიუახლოოს კაცობრიობა მშვიდობის, ბედნიერებისა და აყვავების საზოგადოებას — კომუნისტურ საზოგადოებას.

ახალი პროგრამა ხელს უწყობს იმას, რომ სულ უფრო ფართო მასებმა შეიგნონ, რომ კომუნიზმი ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც და მორალურადაც ჯობს კაპიტალიზმს. კომუნიზმი ხალხთა იმედია, მათი გაცისკროვნებული მომავლის გარანტიაა!

ნ. ს. ხრუშჩოვი ლაპარაკობს ძირითად მიმართულებებზე, რომლებითაც მოხდება კომუნისტური პარტიის განვითარება. ეს არის პარტიის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის, როლის შემდგომი ამაღლება, მისი წარმმართველი ზემოქმედების გაძლიერება კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე; პარტიისა და ხალხის ერთობის განმტკიცება, უპარტიო მასებთან პარტიის ურთიერთობის ფორმების გამდიდრება, მშრომელთა სულ უფრო ფართო ფენების ამაღლება პარტიის წევრთა შეგნებულობისა და აქტივობის დონემდე; შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარება, პარტიის წევრის წოდების მნიშვნელობის ამაღლება, ყველა კომუნისტის აქტივობისა და თვითმოქმედების კიდევ უფრო დიდი ზრდა, პარტიული რიგების ერთობისა და შეკავშირების განმტკიცება.

ჩვენს პარტიულ და სახელმწიფო ორკესტრში ახალგაზრდა და გამოცდილებით დაბრძენებულ მუშაკთა შეხამება მარქსისტულ-ლენინური პარტიის განვითარების კანონია. ჩვენი პარტიის ამ დასკვნას, კერძოდ, საფუძვლად უდევს გაკვეთილები, რომლებიც გამომდინარეობენ ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის შედეგებიდან. პროგრამისა და წესდების პროექტებში ჩამოყალიბებულია დებულებანი, რომლებმაც უნდა შექმნან გარანტია პიროვნების კულტის რეციდივის წინააღმდეგ.

პარტია ემყარება კომუნისტების, მთელი ხალხის კოლექტიურ გამოცდილებასა და კოლექტიურ აზრს, ყოველი ღონისძიებით ავითარებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა საბჭოთა ადამიანის ინიციატივას. საჭიროა განუხრელად დავიცვათ და განვავითაროთ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი, უზრუნველვყოთ პარტიული მასების მტკიცე კონტროლი ხელმძღვანელი ორგანოებისა და მათი მუშაკების საქმიანობისადმი, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება.

პარტიის ძალისა და უძლეველობის უმნიშვნელოვანესი წყაროა მისი ურღვევი იდეური და ორგანიზაციული შეკავშირება. პარტია თავის საშუალებათა არსენალში ინარჩუნებს ორგანიზაციულ გარანტიებს ფრაქციულობისა და ჯგუფობრიობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, რომლებიც შეუთავსებელია ლენინურ პარტიულობასთან.

მოხსენების დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს:

ჩვენ, XXII ყრილობის დელეგატებს, წილად გვხვდა დიდი პატივი— განვიხილოთ და მივიღოთ სკკპ ახალი პროგრამა — კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! (ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს მოხსენება არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა).

საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობები

ველოსიპედი

დამთავრდა რესპუბლიკის პირველობა საგზატკეცილო ველოსიპედში. შეჯიბრების პირველ დღეს მოეწყო რბოლა 50 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით. წვიმამ და ქარმა ხელი შეუშალა ველოსიპედისტებს მაღალი შედეგების ჩვენებაში. პირველი ადგილი მოიპოვა დინამოელმა ვ. საგოიანმა, რომელმაც დისტანცია დაფარა 1:21.20.

არ გაუმართლა საპრიზო ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტს, განთიადელ ო. მაკაროვს. მას თავისი გუნდის წარმომადგენელმა დაუგვიანა მონაწილის ნომრის მიცემა და ველოსიპედისტს სტარტის აღების უფლება ჩამოერთვა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა წრიული რბოლა (ვაკე-საბურთალოს რაიონში) — 20 წრეზე (114 კილომეტრი). სტარტზე 36 მონაწილე გამოცხადდა. უკვე მეორე წრეზე რბოლას რამდენიმე მონაწილე გამოეთიშა (ყოველი წრის სიგრძე 5 კმ და 700 მ იყო). დისტანციის რთული პროფილი და ზოგ ადგილას ძლიერი პირქარი საკმაოდ ართულებდა რბოლის მსვლელობას.

ხუთი პირველი წრე ველოსიპედისტებმა საათში 39 კილომეტრის სისწრაფით განვლეს. მალე ჯგუფს გამოეყო და დაწინაურდა „კოლმეურნის“ გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ა. აგაევი. მან ენერგიული მუშაობით ჯგუფთან განსხვავება 500-600 მეტრამდე გაზარდა.

8 წრის შემდეგ ჯგუფი გაერთიანდა. ამ დროისათვის ბრძოლა შეწყვეტილი ჰქონდა პირველობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტს, დინამოელ სპორტის ოსტატს ა. თაქაძეს.

ფინიშამდე 5 წრე იყო დარჩენილი, როდესაც წინ გაიჭრა „კოლმეურნის“ მეორე წარმომადგენელი ა. მაგუსევი, მაგრამ ჯგუფი მასაც მალე დაეწია. უკანასკნელი წრე ექვსმა სპორტსმენმა იარა ჯგუფურად, აქ სხვებთან ერთად იყო სპარტაკელი ე. იანჩევსკი, რომელმაც დაზიანებული მანქანის გამოცვლის შემდეგ მარტომ დაფარა ორი წრე და ჯგუფს მაინც წამოეწია. ხუთი დანარჩენი სპორტსმენი „კოლმეურნის“ გუნდიდან იყო.

ფინიშზე პირველი მოვიდა რ. გუძი („კოლმეურნე“), მას მოჰყვნენ: ე. იანჩევსკი („სპარტაკი“), ბ. ძიძიგური, ა. აგაევი, ნ. გიორგიადი და ა. მაგუსევი (ყველა „კოლმეურნე“). გამარჯვებულის დროა — 3:32.00.

სამწუხაროდ, საინტერესო რბოლის ტრასა ბოლომდე მხოლოდ 12 სპორტსმენმა დაამთავრა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ სპორტსაზოგადოებაში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ველორბოლის განვითარებას.

ბ. ვასილაძე

* * *



★

ბათუმელი ს. სარხოიანი თავის „მარცხენათი“ საშიშროებას უქმნის მასზე ბევრად გამოცდილ მოწინააღმდეგეებს.

სურათზე: ს. სარხოიანი თამაშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

★

მაგიდის ჩოგბურთი

ყველას აინტერესებდა თუ როგორ წარმართავდა ბრძოლა გუნდური პირველობის ნახევარფინალურ შეხვედრებში თბილისის I, სოხუმისა და თბილისის II, ბათუმის გუნდებს შორის. პირველ მატჩში თბილისელებმა შედარებით ადვილად მიაღწიეს გამარჯვებას — 12:1. მაგრამ თბილისელთა II ნაკრების შეხვედრა ბათუმელებთან დიდ სპორტულ სანახაობად გადაიქცა.

ბათუმში არსებობს მაგიდის ჩოგბურთის კარგი ტრადიციები და ბუნებრივია, აქაური სპორტსმენები სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებენ ჩემპიონობაზე. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ჩოგბურთელები „მინდორზე“ გამოვიდნენ არასრული შემადგენლობით (აკლდათ ერთი ქალი), მათ გამარჯვებისადმი შეუნელებელი ლტოლვა გამოავლინეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ს. სარხოიანი და ს. პარფინიდი, რომლებმაც პირად შეხვედრებში მოგებების გარდა, მეტოქეებს აჯობეს წყვილთა და შერეულ წყვილთა ბრძოლაში. 12:10 — ასეთი ანგარიშით დაგვირგვინდა ბათუმელთა სასარგებლოდ რვასაათიანი შეჯიბრება.

აჭარის სპორტსმენების აქტიურობამ უკიდურესობამდე დამუხტა ინტერესი თბილისის I და ბათუმის გუნდების ფინალისადმი. თბილისელთა კოლექტივი საკმაოდ მაღალტექნიკური, გამობრძმედილი მოთამაშეებისაგან შედგება. სხვათაშორის მათი წამყვანი ძალაა „ძველი“ ბათუმელი — საქართველოს ჩემპიონი თ. რამაზაშვილი.

გაისმოდა ეჭვის ხმები, რომ ამჯერად ბათუმელებს გაუჭირდებოდათ დასაწყისშივე ორი ქულის დათმობა. მართლაც, ამ ქულებმა გარკვეული სამსახური გაუწიეს თბილისელებს, რომლებმაც მძაფრი, ბოლომდე ამაღელვებელი შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 12:10 და გახდნენ 1961 წლის ჩემპიონები.

გუნდურ ჩათვლაში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: მესამე ადგილზეა — თბილისი II, მეოთხეზე — სოხუმი, მეხუთეზე — ქუთაისი, მეექვსეზე — სტალინირი. შემდეგ არიან ტყვარჩელი, ფოთი, თელავი, რუსთავი, ბორჯომი.

ი. ხიმშიაშვილი,
მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი,
თ. გიორგაძე.

ფეხბურთი

რუსთავი. 19 ოქტომბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „მეტალურგი“ (რუსთავი)-„ტორპედო“ (ქუთაისი).

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

სსრ კავშირის თასზე

შედგა უკანასკნელი მეოთხედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ სტალინოს „შახტიორი“ და სტალინოგორსკის „ხიმიკი“.

მატჩი მოიგო „შახტიორმა“ ანგარიშით 3:1. სტალინოს გუნდი ნახევარფინალში შეხვდება ლენინგრადის „ადმირალტეეცს“.

ცხენოსნობა

საქართველოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშებას ცხენოსნობაში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის ინტერესი შემატა პარალელურად გამართულმა სამატჩო შეხვედრამ სომეხ და ქართველ ცხენოსანთა შორის.

ახალგაზრდა ცხენების სამჭიდის სამანეეო სვლით დაიწყო რესპუბლიკური პირველობა და ამხანაგური მატჩი. შეჯიბრებაში მონაწილე რვა სპორტსმენიდან მხედრის ნებასურვილს ყველაზე უკეთ დაემორჩილა სოხუმელი დ. ხოფერიას „პოსეიდონი“. მშფოთვარე ზღვის ღმერთის—პოსეიდონის თანამოსახელე ამჯერად უდრტვინველად გადადიოდა სიარულიდან ჩორთზე, ჩორთიდან ნავარდზე და მხედრის უბრალო ნიშანზე ასრულებდა სხვა მოძრაობათა რთულ ელემენტებს.

პირველთანრიგოსანი სპორტსმენის შედეგია 154,66 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ თბილისელი ა. მანჯავიძე (ცხენი „ტარა“) — 153 ქულა და ზუგდიდელი დ. ხორავა (ცხენი „ეპრონი“) — 142 ქულა.

სომეხი ცხენოსნები ს. სტეპანიანი (ცხენი „ბუხარა“) და რ. ასრატიანი (ცხენი „ახტირკა“) მეხუთე-მეშვიდე ადგილზე გავიდნენ (ეს რასაკვირველია პირობით იგულისხმება საერთო ჩათვლაში, რადგან ამხანაგურ მატჩში ისინი მეორე ადგილზე არიან).

„მცირე პრიზზე“ გამართულ სამანეეო სვლაში უდავო იყო თბილისელი სპორტის ოსტატის ა. დგებუაძის უპირატესობა დანარჩენ მეტოქეებზე. იგი ორჯერ გამოვიდა მანეეზე სხვადასხვა ცხენით (ერთხელ გუნდურ და ერთხელ პირად ჩათვლაში) და ორჯერვე გამარჯვებულმა დასტოვა ასპარეზი. გუნდურ ჩათვლაში „გენიოსმა“ მას 585 ქულა მოუტანა, პირადში კი „ბარგუზინმა“ საგრძნობლად აჯობა პირველს — 604 ქულა.

გამარჯვებულ ა. დგებუაძის შემდეგ საქართველოდან მეორე ადგილზეა ზუგდიდელი დ. კანკია (ცხენი „მილოკი“) — 529 ქულა, სომხეთიდან კი ა. ეტმეჯიანი (ცხენი „ისხოდნი“) — 572 ქულა, რესპუბლიკურ პირველობაზე მესამე ადგილზე იმყოფება ქუთაისელი ს. ბაქრაძე (ცხენი „დიგორი“)—510 ქულა.

დაბრკოლებათა გადალახვაში „შეჯიბრების გახსნის პრიზზე“ პირველობისათვის მებრძოლთა რიგებს საბოლოოდ ცხრა სპორტსმენი შემორჩა, რადგან მათი 12 მეტოქისათვის დაუძლეველი აღმოჩნდა 650-მეტრიან დისტანციაზე განლაგებული 13 დაბრკოლება.

მოცემულ დროში განვლეს დისტანცია და 7-7 საჯარიმო ქულა დააგროვეს სოხუმელი ლ. თოფურიას „ზუდენმა“ და თბილისელი გ. ჯაფარიძის „ინსტრუქტაჟმა“. დანარჩენთა ხტომებში გაიმარჯვა სოხუმელმა სპორტსმენმა. მესამე საპრიზო ადგილი ერგოთ ზუგდიდელ კ. მატახარიას (ცხენი „ბურბეგი“) 8 ქულა.

სომეხ ცხენოსნებმა ადგილობრივ ამოსაწორეს დაბრკოლებათა „ამორჩევით გადალახვაში“. 16 მხედარს შორის საუკეთესონი რ. გრიგორიანი (ცხენი „კორალი“) და გ. ხაჩატრიანი (ცხენი „კრიმი“) აღმოჩნდნენ. მესამე ადგილზე გამოვიდა სოხუმელი ნ. ხაინდრავა (ცხენი „მასიეი“). საქართველოს პირველობაზე მონაწილე ცხენოსნებიდან გუნდურ ჩათვლაში წინ თბილისელები გავიდნენ, რადგან სოხუმელებს მეორე მონაწილე არ ყავდათ.

ახალგაზრდა ცხენების საველე გამოცდამ (სამჭიდის მეორე სახეობა) კორექტივები შეიტანა ლიდერთა მდგომარეობაში. ქულათა თანაბარი რაოდენობა — 56,8 ქულა დააგროვეს—ა. მანჯავიძის „ტარამ“ და რ. ასრატიანის „ახტირკამ“, დ. ხოფერიას „პოსეიდონი“ მესამე ადგილზე გამოვიდა — 54,56 ქულა.

საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა ესტაფეტა პირველ შეცდომამდე. სტარტზე პირველად გამოსულმა სტუმრებმა — ბ. პარტნოვმა და ბ. მიხაილოვმა ათივე დაბრკოლება უშეცდომოდ განვლეს და 650-მეტრიანი დისტანცია 2,15.0 წუთში დაფარეს. მათ შემდეგ გამოსული ფოთელები შეჯიბრებიდან მოიხსნენ. თბილისელებმა — ვ. პეშჩეროვმა (ცხენი „მოდელი“) და გ. ჯაფარიძემ (ცხენი „ინსტრუქტაჟი“) სომეხი სტუმრების მსგავსად 40 ქულა დააგროვეს, მაგრამ მანძილი გავლას 10 წამით მეტი დრო მოანდომეს, ამ შეჯიბრებისათვის საუცხოოდ მომზადებულნი აღმოჩნდნენ ზუგდიდელები კ. მატახარია (ცხენი „ზაურბეგი“) და ბ. ემუხვარი (ცხენი „პომპეი“), რომლებმაც დაბრკოლებები უშეცდომოდ გადალახეს და დისტანციაც ყველაზე მოკლე დროში — 2.10,0 განვლეს.

გ. სამსონაძე

სურათზე: სიყვარულით ეალერსება ა. მანჯავიძე თავის „ტარას“.



სსრ კავშირი - თურქეთი — 4:4

როგორც ცნობილია, თურქეთის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა მწარე დამარცხება განიცადა წელს ტოკიოში, მსოფლიო პირველობაზე. ჭიდაობის ისტორიაში პირველად, ამ კოლექტივმა წაგო როგორც პირველი, ისე მეორე ადგილი. ჩემპიონობა მან დაუთმო ირანის ეროვნულ ნაკრებს, ხოლო მეორე ადგილი — საბჭოთა კავშირის გუნდს.

ეს დამარცხება მტკივნეულად განიცადეს თურქეთის ჭიდაობის ხელმძღვანელებმა. ტოკიოდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე მათ ენერგიული ნაბიჯები გადადგეს დაკარგული პრესტიჟის აღსადგენად. თურქეთში შედგა რამდენიმე ნაკრები გუნდი, რომელშიც შევიდნენ როგორც სპორტის ამ სახეობის ვეტერანები, ისე ახალგაზრდა, საერთაშორისო ტურნირებში ჯერ კიდევ გამოუცდელი ოსტატები.

საბჭოთა სპორტსმენების ვიზიტამდე თურქეთის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდებმა რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეს აზიის სხვადასხვა ქვეყნების კოლექტივებთან. თურქებმა ყველა შეხვედრა მოიგეს, მაგრამ თვითონ ისინი ამ გამარჯვებებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, რადგან ისინი მოპოვებული იყო შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. პირველი სერიოზული გამოცდა თურქეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჩაბარა 17 ოქტომბერს, როდესაც მან ანგარიშით 3.5 წააგო შეხვედრა საბჭოთა კავშირის გუნდთან.

19 ოქტომბერს საბჭოთა მოჭიდავეებმა გამართეს მეორე ამხანაგური შეხვედრა, ამჯერად თურქეთის უძლიერეს ეროვნულ ნაკრებთან, რომელიც ატარებდა ანკარის ნაკრების სახელს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4:4. საბჭოთა გუნდში გაიმარჯვეს ა. ალიევმა, ვ. ლეტუნმა, ბ. გურევიჩმა და ა. ივანიცკიმ. უმნიშვნელო უპირატესობით წააგეს თავიანთი შეხვედრები ი. ლოსკმა, ს. გაჯიევმა, რ. ჯლამაძემ და გ. საღარაძემ.

საბჭოთა მოჭიდავეები უკანასკნელ შეხვედრას გამართავენ 21 ოქტომბერს ქალაქ სტამბოლში.



მწვერვალისაკენ....
ფოტო ვ. გაბელაშვილისა.

ჩემპიონები გამოვლინდნენ

ხუთ დღეს გაგრძელდა თბილისის პირველობა ფრენბურთში. ფინალის პირველ დღეს ერთმანეთს ხვდებოდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა გუნდები, რომელთაც ამ დღემდე არც ერთი დამარცხება არა ჰქონდათ. ამ მატჩს უნდა გამოეკვლინა ჩემპიონი. გუნდების შეხვედრა გაგრძელდა ორსაათნახევარს და მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. გამოცდილ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ახალგაზრდა მოთამაშეები გამოიყვანა. პირველ პარტიაში მათ ადვილი გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო შემდგომი ორი პარტია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 2:1. მეოთხე პარტიაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელები კვლავ წინ იყვნენ — 11:4, მაგრამ მათ ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება და დამარცხდნენ — 15:17. მეხუთე პარტიაში ძნელი გამარჯვება მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებმა და მატჩიც მოიგეს — 3:2. ამ გამარჯვებით გუნდმა თბილისის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. II ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალგაზრდული, კარგი მომავლის მქონე გუნდი. III ადგილზე არაერთ ოლ. ტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელები.

ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რომელსაც ტურნირში არც ერთი დამარცხება არ განუცდია. მეორე ადგილზეა უნივერსიტეტის, ხოლო მესამეზე — უცხო ენების ინსტიტუტის გუნდი.

ე. ამირანაშვილი

ევროპული ფრენბურთი „ჭაიფუნის ქვეშ“

იაპონიის ფრენბურთელ ქალთა გუნდმა, რომელმაც ახლახანს დიდი წარმატებით ჩაატარა თავისი პირველი გამოსვლები მოსკოვში, ლენინგრადსა და სტალინგრადში, იგივე გაიმეორა პოლონეთში. მოგვიანებით მათ სასტიკად დაამარცხეს ფრანგი ფრენბურთელები თავისსავე მოედანზე. „იაპონური ამოცანა“ ახლა ფრენბურთის ყველა მოყვარულს აღელვებს.

შეგვიძლია თუ არა იაპონელ ფრენბურთელ ქალთა გუნდი ახალბედათ გუნდად ჩაკვალოთ? ამაზე შეიძლება ითქვას ერთიც და მეორეც. იაპონიაში სპორტის ამ სახეობის განვითარების ისტორია საკმაო ხანს მოიცავს, მაგრამ აქამდე ისინი მსოფლიო ასპარეზზე არ ჩანდნენ. მართალია, იაპონელ ვაჟთა გუნდი 1956 წელს, პარიზში, მსოფლიო პირველობაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მისი შედეგები ძალზე არასახარბიელო იყო. შემდგომ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრაზილიაში იაპონელ ქალთა გუნდმა იაპონურ ფრენბურთზე სპორტის ამ სახეობის მრავალ მოყვარულს თავისი შეხედულება შეაცვლევინა. რიო-დე-ჟანეიროს მოედანზე კუნძულ ხონსიუს ქალთა გუნდმა დაამარცხა ყველა თავისი მოწინააღმდეგე, გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა და მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. ეს უკვე სენსაცია იყო.

ამ ცოტახნის წინათ წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროზე გაჩაღარა ძლიერმა ტაიფუნმა, რომელსაც სინოპტიკებმა ნახი სახელი „ნესი“ შეარქვეს. დაახლოებით ამავე პერიოდში სპორტულ ევროპას მეორე სტიქიური ვრცელი მოედო. ფრენბურთის სპეციალისტები უფრო პროზაული ხალხია, ვიდრე სინოპტიკები და იაპონიის ქალთა გუნდი არავითარი სახელით არ მოუნათლიათ, ჟურნალისტებმა კი თავის ანგარიშებში იაპონელ ქალთა გუნდს ხელათ მოუძებნეს ახალი სახელი, რომელიც შემდეგ სიტყვებში გამოიხატა — „წყნარი ოკეანის ტაიფუნი“.

ამ „ტაიფუნის“ პირველი მსხვერპლი იყო რუმინეთის ფრენბურთელ ქალთა გუნდი. რუმინელებმა ვერც ერთხელ ვერ მოუგეს იაპონელ სტუმრებს. პრაღაში, „ოდბიენის“ (ჩეხოსლოვაკიაში ასე უწოდებენ ფრენბურთს) 40 წლის იუბილეზე, როგორც იტყვიან ხოლმე, ევროპის ფრენბურთის მთელი ნაღები შეიკრიბა. აქ ჩავიდნენ იაპონელებიც. მათ წინააღმდეგ გამოსვლების დროს ყველამ დაყარა ფარ-ხმალი: პოლონეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და თვით ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა გუნდებმაც.

დადგა საბჭოთა ფრენბურთელი ქალების ჯერიც, რომლებსაც პრაღის ტურნირში მონაწილეობა არ მიუღიათ. და აი, მოსკოვში იმართება იაპონელ და საბჭოთა ფრენბურთელ ქალთა შეხვედრები. გულახდილად უნდა ითქვას, რომ დასაწყისში იაპონელებს არ მოუხდენიათ განსაკუთრებული შთაბეჭდილება. საკმაოდ დაბალი თავდასხმა, ბლოკირებაც თითქოს არადამაკმაყოფილებელი, დაცვა ძალზე მოძრავი, მაგრამ არაეფექტური. იაპონელები ბურთების ორმესამედს იღებენ ქვემოდან. ერთ-ერთი, რაც თვალში მოგხვდებოდათ, ეს იყო მათ მიერ ბურთის სტაბილურად მიწოდება. ამას ისინი რაღაც თავისებურად ასრულებდნენ. აგრეთვე თვალში მოგხვდებოდათ მათ მიერ საუკეთესოდ შესრულებული მეორე გადაცემა საბოლოო დარტყმისათვის.

ეს იყო, როგორც იტყვიან, პირველი შთაბეჭდილება. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ იაპონელები პრაღაში „სასწაულებს“ ახდენდნენ. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ბულგარეთის ფრენბურთელებმა თავისი შეხვედრა კარგად და შეთანხმებულად დაიწყეს, მაგრამ მათ რიგებში შეთანხმებული თამაში დეზორგანიზაციამ შეცვალა. ბულგარელებმა დაიწყეს ნერვიულობა... ეს ავადმყოფობა სათადარიგო მოთამაშეებსაც გადაედოთ: როცა მწვრთნელმა გუნდში შეცვლა მოახდინა, სათადარიგო მოთამაშე რაღაც გაოგნებული შევარდა იაპონელთა სათამაშო ზონაში (!) და ვერაფერს ვერ ხედავდა თავის გარშემო.

ჩემის აზრით, თამაშის დაწყებამდე იაპონელები მოწინააღმდეგეს მორალურად სტეხენ და თამაშიც უკვე ნახევრად მოგებული აქვთ. დიდებამ მათი უძლეველობის შესახებ ევროპის თვით უძლიერესი გუნდებიც კი დაბრმავა და შეაძრწუნა. მოსკოვსა და ლენინგრადში „წყნარი ოკეანის ტაიფუნის“ გადავლის შემდეგ ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტიც კი მიეცა პანიკას. მათ ისეთი აზრიც კი გამოთქვეს, რომ თითქოს ევროპის ქალთა ფრენბურთის მზეს ჩასვენება ემუქრება. ასეთი პანიკის მიზეზები კი ნამდვილად არ არის.

იაპონიის გუნდი — მსოფლიო კლასის დონის გუნდია. მის მოთამაშეებს აქვთ მტკიცე ნებისყოფა გამარჯვებისადმი, სულიერი რწმენა კი რაღაც ფანტასტიკური. მე ვნახე პრაღის ტურნირზე ყველა მათი თამაში, ვნახე მათი თამაში მოსკოვშიც და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ რიგებში დაბნეულობა დამენახოს. უტყუარია, რომ იაპონელები ოსტატურად ფლობენ თამაშის ტექნიკას. და მიუხედავად ამისა, საკმარისი იყო მათი თამაშის პირობები რამდენადმე შეცვლილიყო, რომ ევროპაში მათი ბრწყინვალე ტურნე საკმაოდ გაუფერულებულიყო.

საქმე იმაშია, რომ სექტემბერი ევროპული ფრენბურთისათვის რაღაც თავისებურ გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს! ამ დროს თავდება ხოლმე ეროვნული ჩემპიონატები, გუნდების წვრთნის ინტენსივობა დაბალი ხდება. ავიღოთ მაგალითად საბჭოთა ფრენბურთი. გათამაშდა რა სსრკ პირველობა ფრენბურთში, ყველა წამყვანი კოლექტივი მაშინვე პროფკავშირთა სპარტაკიადის ასპარეზობაში ჩაერთო. მწვრთნელებთან და მოთამაშეებთან მე არა ერთხელ მომიხდა საუბარი. ყველა უჩიოდა ზომაზე მეტ დატვირთვასა და დაღლილობას. სეზონი ძალზე დაძაბული გამოდგა. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ჩვენი ნაკრები გუნდები კომპლექტდება ძირითადად ერთი-ორი უძლიერესი გუნდის ბაზაზე. უნდა წარმოვიდგინოთ რა მდგომარეობაში იქნებოდნენ მოსკოვის ნაკრების მოთამაშეები იაპონელ ფრენბურთელ ქალებთან შეხვედრის წინ. მდგომარეობა უფრო ნათელი გახდება თუ ამასთან იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვის ფრენბურთელ ქალთა ოთხი გუნდიდან სსრკ ფრენბურთის ჩემპიონატების ისტორიაში პირველად სამეულში მოსკოვის არცერთი გუნდი არ მოხვდა.

გულახდილად რომ ვთქვათ, მოსკოველებმა ვერ მოახერხეს იაპონელ ფრენბურთელ ქალთა ნაკრების სათანადოდ შეფასება. და მათი ნამდვილი ძალის შეცნობა. დედაქალაქის ფრენბურთელი ქალები იმდენად სუსტად და შეუთანხმებლად თამაშობდნენ, რომ მათმა მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს სპორტული ოსტატობის მთელი შესაძლებლობების გამოვლინება.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ მოსკოვში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში. ჩვენ მოგვეცემა შესაძლებლობა კვლავ ვიხილოთ იაპონელთა ნაკრები. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამ დროისათვის საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები თავის საუკეთესო ფორმაში იქნება.

ევგენი ბირუნი,
„ნოვოსტის“ სპორტული მიმოხ. ხელველი.

რედაქტორი ი. უგულავა.

22 ოქტომბერი
„ბურევესტნიკის“ სტადიონი

„დინამო“ (თბილისი)-
„სპარტაკი“ (მოსკოვი)
დასაწყისი 15 საათზე.

26-29 ოქტომბერი
ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი
საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა
სამგოში
დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

23-27 ოქტომბერი
საქართველოს პირველობა
თანამედროვე ხუთჭიდში
მონაწილეობენ აგრეთვე ბელორუსიისა და სომხეთის სპორტსმენები



ფეხბურთი — თბილისის პირველობა. მოზარდთა გუნდებს შორის. ქალაქის სტადიონები. დასაწყისი 15 საათზე.

ხელბურთი 7×7 — თბილისის პირველობა. კიროვის სახ პარკი. დასაწყისი 15 საათზე.

ველოტრეკი — ერევანი-თბილისი. ველოტრეკი. დასაწყისი 16 საათზე.

მაგიდის ჩოგბურთი — საქართველოს პირველობა. ლენინის სახ. დარბაზი. დასაწყისი 16 საათზე.

ცხენოსნობა — საქართველოს პირველობა. იპოდრომი. დასაწყისი 10 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დიღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-85-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-85-09. გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ № 14. უე 01179